№ 104
პარასკევი, 30 მაისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 104
პარასკევი, 30 მაისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ხაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 1 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 0 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| [illegible] | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გუშინ, 28 მაისს, დილის $9^1/_2$ საათზედ, დიდისა და ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისის გუბერნიისა ď ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგე, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი **ანდრია სიმონის ძე გამრეკელი**, რასაც განსვენებულის დედა, მეუღლე, შვილები, და ď ძმა გულითადის მწუხარებით აცნობებენ იმის თანამოსამსახურეთა, ნათესავთა და ნაცნობთ.

პანაშვიდი გარდახდილ იქნება დღეში ორჯელ—ნაშუადღევის პირველსა და საღამოს 7 საათზედ.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(2—116—2)

აწ განსვენებულის ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა მმართველის, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის **ანდრია სიმონის ძე გამრეკელის** გვამს წაასვენებენ მამადავითის ეკკლესიაში, შაბათს, 31 მაისს, დილის ცხრა საათზედ.

(1—1)

კვირას, 1 ივნისს,

ალექსანდრეს ბაღში

ტფილისის მეორე გიმნაზიის დამხმარებელ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად გამართულ იქმნება

## სახალხო სეირნობა

და

ლატარია-ალეგრი

დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იქმნება: მომღერლები, ზურნა, დუდუკი და სხვა გასართობი.

დასაწყისი სეირნობისა ნაშუადღევის 2 საათზედ. ბაღში შესვლის ფასი 20 კ., ლატარიის ბილეთისა 20 კ. ლატარიისათვის ნივთების შემომწირველთ შეუძლიანთ მიჰმართონ საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწეს კნ. ვ. გ. ბარათაშვილისას (რეუტის ქუჩა, საკუთარი სახლი) ანუ გიმნაზიის დირექტორს.

(5—6.—3)

## სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქმრუგო, თვალისა, და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფებს შიაგასინჯავეიძლებ დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას და საბებიაოს მკურნალი **ე. ფ. ბაცევიჩი** (20 მაისს), და მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი-საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისა, ელექტრონით წამლობისა და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

(10—6.—7)

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ, 29 მაისს, დაიწყო „ტფილისის საბრანიაში“ კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა გუბერნიის მარშლის თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის თავმჯდომარეობით. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა მადლობა გამოუცხადოს მისს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელმაც მინისტრთა კომიტეტში, როდესაც სჯა იყო თავად-აზნაურთა ყმაწვილების აღზრდა-განათლების შესახებ, ზრუნვა გამოიჩინა საქართველოს თავად-აზნაურთა ყმაწვილებისათვის. სამადლობელი დეპეშა იქვე დაიწერა და გაგზავნილ იქმნა. ამავე დღეს წაკითხულ იქმნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის სამის წლის მოქმედების ანგარიში. სჯა-ბაასი ამ ანგარიშის შესახებ დღეს იქნება, რადგანაც კრება გადადებულ იქმნა პარასკევს, 30 მაისისათვის, დილის 10 საათზედ. დაწვრილებით შემდეგ.

*** გუშინ-წინ, 28 მაისს, საღამოს 7 საათზედ, უნდა შემდგარიყო წლიური კრება დრამატიულ საზოგადოების წევრთა, მაგრამ არ შესდგა, რადგან კრებაზედ არ შეიკრიბა საკმაო რიცხვი წევრებისა; თუმცა ეს მეორე კრება იყო და რამდენი წევრიც უნდა დასწრებოდა, წლიური კრება შემდგარად ჩაითვლებოდა, მაინც ვიმეორებთ, არ შესდგა, რადგან სულ შვიდიოდე წევრი დაესწრო. ამათ კრების თავმჯდომარედ ამოირჩიეს ბ-ნი ნ. თ. ხიზანაშვილი, რომელმაც კრება გადასდო ორშაბათს, ორ ივნისისათვის. ნეტა როდის მოეღება ბოლო ჩვენს გულ-გრილობას საზოგადო საქმის მიმართ?..

*** გუშინ, 29 მაისს, ქალაქის გამგეობაში შეუტანიათ ქალალდი ბ-ნთ გრაბოვსკისა, მაკარსკისა და ოსტროვსკის, და აცხადებენ, რომ არა გვსურს ყუთი დავიდგათ ხმოსანთა ხელ-მეორე არჩევანზედ, რომელიც 1 ივნისს მოხდებაო.

*** გაზ. „კავკას“-ს გაუგონია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განუზრახავს შუამდგომლობა დაიწყოს, რათა ხაშურ ბათუმის ნავთის გამყვანი მილი გაკეთებულ იქმნას ხაშურის სადგურიდგან ალტაგლიის სადგურამდე. ამისათვის საჭირო ფული, $3^1/_2$ მილ. მანათი, მომავალ 1898 წლის ხარჯთ აღრიცხვაში იქნება შეტანილი. ამ გვარად თუ ამ მილის გაკეთება ნება-დართულ იქმნა, ამშინ ეს მილი $8^1/_2$ მილიონი მანეთი დაჯდება,

*** ახასთუმანი. ჩვენში ამ ბოლო დროს ქურდობა მეტის-მეტად გავრცელდა: სულ მცირე ხნის განმავლობაში რამდენიმე ქურდობა მოხდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყურადღებას არავინ აქცევს. სასურველია, ვისგანაც ჯერ არს, დროზედ მიექცეს ყურადღება და საშველი რამ მოგვეცეს ამ მოუსვენარ ვაჟბატონთაგან, რომელნიც ასე დაუსჯელად დანავარდობენ და სტკბებიან სხვათა სიმდიდრე-ქონებით.

## ნეკროლოგი

† თავ. გიორგი ივანეს ძე ციციშვილი.

ულმობელმა სიკვდილმა ერთი საუკეთესო ქართველთაგანი იმსხვერპლა ამ დღეებში. სოფ. ხვედურეთს გარდაიცვალა მოულოდნელად გორის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელი შუაკაცი, პოლკოვნიკი ლეიბ-გვარდიის იზმაილის პოლკისა თ. გიორგი ივანეს ძე ციციშვილი. ბატონ-ყმობის გადავარდნის დღიდგან (8 ნოემბერი 1864 წ.) განსვენებული ასრულებდა ამ თანამდებობას დიდის გულ-მხურვალებით, მოხერხებით, გონიერებით და ღირსებით. ოც-და-ცამეტის წლის განმავლობაში მის მოქმედებას არც ერთხელ არ დასტყობია მოხელეობა, ფორმის მიმდევრობა, გულ-მშრალობა, რაიცა ასე აფრთხობს და აშინებს უბრალო სიკვდილის შვილს და გულს უტეხავს და აძულებს სამართლის კარსა. განსვენებული უფრო სიტყვით, მახვილის ენა-მეტყველებით და რწმენით ჰმოქმედებდა, ვიდრე ქაღალდით, წერით. ეს არის მიზეზი, რომ მასთან საქმის დაჭერა ისე არ იყო სამძიმო, როგორც იმ მოხელესთან, რომელიც მოკლებულია ამ თვისებას.

თ. გიორგიმ განათლება მიიღო ტფილისის კერძო სასწავლებელში და ჯერ ისევ ყმაწვილი სამხედრო სამსახურში შევიდა 1851 წ. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთი სასტიკად ებრძოდა კავკასიის მთიელებს მთელის თვისის სიძლიერით. რაც-კი რამ საუკეთესო იყო მაშინ საქართველოში, ვისაც-კი რაიმე ნიჭის ნიშან-წყალი ეტყობოდა, სამხედრო სამსახურს ეტანებოდა. ყველა იქ ეძებდა სახელი და დიდება მოეხვეჭა. სიბნელე ომიანობისა, ათას გვარი გაჭირვება აგრე რიგად არ აშინებდა თავ-მოყვარე ახალგაზრდობას. სამშობლოს სამსახური ასე ეყურებოდათ და თავსაც არა ჰზოგავდნენ მის გულისათვის.

დაიწყო თუ არა ოსმალეთთან ომი 1853 წელს, თ. გიორგის ბრძოლის ველზედა ვხედავთ უბრალო ჯარის-კაცის ხარისხით. რუს-ქართველობამ დიდი ბრძოლა მოიგო ბაიალდურთან 2 ნოემბერს 1853 წ. ამ ომში თ. ციციშვილმა დიდი მხნეობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა, რისთვისაც ებოძა აფიცრის ჩინი. 19 ნოემბერს იმავე წელს თ. გიორგიმ ისახელა თავი გმირობით ბაშყადიკლარის სიმაღლეებზე ომის დროს და უმაღლესი მადლობა დაიმსახურა. ნაკლებ არ იჩინა თავი თ. ციციშვილმა ყარსის აღების დროს 17 სექტემბერს 1855 წ., რისთვისაც ებოძა პორუჩიკის ჩინი. ოსმალეთის ომის გათავების შემდეგ თ. გიორგი კარგა ხანს ირჩენდა ჭრილობას, რომელიც ხანდახანობით აწუხებდა განსვენებულს სიკვდილის უკანასკნელ დღემდე. საგლეხო რეფორმის შემოღებამდე თ. გიორგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა მთიელებთან გამართულ განუწყვეტელ ომებში, რისთვისაც არა ერთი და ორი ჯილდო მიუღია.

ასეთი იყო წარსული სამსახური განსვენებულისა ბატონ-ყმობის გადავარდნამდე, როდესაც დიდის მთავრის, კავკასიის მთავარ-მართებლის მიხეილ ნიკოლოზის ძის სურვილით თ. გიორგი დაინიშნა გორის მაზრის მომრიგებელ შუაკაცად. მართალია, თ. გიორგის შესაფერი მომზადება არა ჰქონდა საგლეხო რეფორმის განსახორციელებლად, მაგრამ ბუნებით ისე უხვად იყო დაჯილდოებული, რომ არამც თუ არ გაუჭირდა ამ მოვალეობის პირ-ნათლად შესრულება, არამედ თვალ-საჩინო ადგილიც დაიჭირა თავისს ამხანაგებში, რომელთა შორის უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულნიც ერივნენ.

დიდი განსხვავებაა ეხლანდელსა და მაშინდელს მომრიგებელ შუა კაცთა შორის! ეხლა ყველა დაწყნარდა, ყველაფერი თავის დონე-კალაპოტში ჩადგა, მაშინ-კი ურთიერთობა წოდებათა ზღვასავით ჰღელავდა, ბობოქრობდა. ამოვარდნილი ქარ-ტეხილი წალეკას უპირებდა დედამიწას. გაიხსენეთ, რა განსაცდელი მიაყენეს ქუთაისში მღვდელ-მთავარს გაბრიელს, როდესაც საკათედრო ტაძარში ლოცვა-კურთხევით და დიდებით მოიხსენია იმპერატორი ალექსანდრე II ბატონ-ყმობის მოსპობისათვის, და მაშინ დაგვეთანხმებით, რომ ჩვენ გადაჭარბებულსა და გაზვიადებულს არას ვამბობთ. საგლეხო რეფორმა მთელი ეპოქაა რუსეთის ათას-წლოვან და საქართველოს ორი ათას-წლოვან ისტორიაში. ამ რეფორმამ ცხოვრებას სულ სხვა მხრისკენ უბრუნა პირი, წარსული და აწმყო ისე განაცალკევა, რომ მისი შეერთება შეუძლებელი-ღაა, თუმცა ამ ბოლოს დროს ბევრნი სურვილს აცხადებენ მათ გასაერთებლად.

საგლეხო რეფორმა თავად-აზნაურობისთვის რუსეთსა და ჩვენში განსაცდელის დღე იყო. ერის ნივთიერი და სოციალური ცხოვრება ყმების არსებობაზედ იყო აგებული; ყმა იყო ერთად-ერთი დაუშრეტელი წყარო მებატონის სიდიადე-ზვიადობისა, სიმდიდრისა, უფლება-ხელმწიფეობისა და თვით კეთილშობილებისა. რაკი ეს იარაღი და საღსარი დიდებულის ხელმწიფის ბრძანებით კეთილშობილთ ხელიდან ეცლებოდათ, რიღას იმედი უნდა ჰქონოდათ მომავალში? ამისათვის ამრეზილი თავად-აზნაურობა მტრულის თვალით უცქეროდა მომრიგებელ შუა-კაცთა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ უსათუოდ ორის წლის განმავლობაში შეადგინეთ „უსტავნი გრამოტები“ და ამით დაამყარეთ ახალი წეს-რიგი და ურთიერთობაო.

ბევრი მწუხარება და გაჭირვება გამოიარეს „პირველ მოწოდების“ მომრიგებელ შუაკაცთა. ბევრს ეცოდინება, ან გაგონილი ექმნება, რა მღელვარება მოჰყვა შიდა რუსეთში „თავისუფლების გამოცხადებას“. გლეხს ხომ დღესაც ძნელად დააჯერებ, რომ მიწა, ტყე, წყალი და ჰაერი ვისიმე კერძო საკუთრება იყოს. შეიძლება კიდეც დაგიჯეროს, მაგრამ გულში მაინც თავისს აზრზედ იდგება. როცა რუსის გლეხს აუხსნეს, თავისუფლება ეს-და-ესაა და არა ისა, რასაც ის მოელოდდა, ურჩობა დაიწყო და იძულებულ გახდნენ ხიშტების შემწეობით დაეჯერებინათ, განთავისუფლება ესე უნდა გეყურებოდეთო. ჩვენშიაც ბევრი სხვა თვალით უყურებდა თავისუფლებას, ბევრი თავად-აზნაურთაგანი ხმალსა და ხანჯალზედ იყურებოდა. ასეთს მდგომარეობაში დიდი სიფრთხილე, თავაზიანობა, ღირსება,

გამბედაობა და ტაქტი იყო საჭირო' რომ დიდებული რეფორმა სისხლის ღვრით არ შემწიკვლულიყო. განსვენებული თ. გიორგი სავსებით იყო დაჯილდოვებული ამ ღირსებით და ამიტომაც არც მის განყოფილებაში და არც სხვაგან, სადაც მოღვაწეობდნენ მისნი ტოლნი და ამხანაგნი, სათაკილო და სამარცხვინო არა მომხდარა რა. რეფორმა წყნარად, წესიერად და კანონიერად განხორციელდა, ასე რომ მთავარ-მართებელს დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს სრული სიმართლე ჰქონდა მოეხსენებინა თავისის უავგუსტოესის ძმისათვის: საქართველომ იმედი სავსებით გამიმართლაო; რეფორმა ისე შესრულდა, უკეთესის მოლოდინი შეუძლებელიაო.

ჩვენ პირადად გაგვიგონია განსვენებულ გიორგისაგან, რა განსაცდელში ჩავარდა, რა სულის კვეთებასა და მღელვარებასა ჰგრძნობდა, პირველის „უსტავნი გრამატის" შესადგენად რომ მივიდა ერთს სოფელში, სადაც მრავლად ჰბინადრობდნენ თავად-აზნაურნი. მებატონეთ პირში მომახალეს, — რადა ჩვენ ამოგვიღე ნიშანში, ვისზედ რა ნაკლები ვართ, რომ ჩვენიდგან იწყებ ყმების ჩამორთმევას, ჯერ სხვაგან გაარიგე საქმე და ჩვენ სად გაგექცევითო. ვერ წარმომიდგენია, რა სამწუხარო შედეგი მოჰყვებოდა, რომ დავყოლოდი, დამეთმო აღელვებულ თავად-აზნაურობისათვის და ხელ-ცარიელი წამოვსულიყავი. უეჭველია, სადაც მივიდოდი, ამ გვარი პასუხი გადამეღობებოდა წინა და ბოლოს, რაღა თქმა უნდა, ვერც ერთს მებატონეს ვერ ვიპოვიდი, რომელიც პირველობას იკისრებდაო. ყველა მეორეობას მოინდომებდაო.

ასე გძლად და შორიდამ საუბარი იმისათვის გავმართეთ, რომ სავსებით აგვენიშნა ღვაწლი განსვენებულის თ. გიორგი ციციშვილისა ქვეყნის წინაშე და მასთან ერთად ღირსეულის პატივისცემით მოგვეხსენებინა „პირველ მოწოდების" მომრიგებელნი შუაკაცნი, რომელთაც სანაქებოდ შეასრულეს ძნელი და საჩოთირო საქმე.

როგორც კერძო კაცი, განსვენებული შეუდარებელი იყო, მთელი მაზრა და ვგონებთ მთელი გუბერნია იცნობდა თ. გიორგის. იმისს ტკბილს, მჭევრ-მეტყველს, ბრწყინვალე ოხუჯობით შეფერილ საუბარს ყველა, დიდი და პატარა, სიამოვნებით ისმენდა. მასთან ლაპარაკი ადამიანს თავის დღეში არ მოსწყინდებოდა.

საზოგადოებამაც ღირსეულად დააფასა თვისი მოღვაწე და დიდის ამბით გადიხადა 25 წლის იუბილეი მის მომრიგებელ შუაკაცობისა. სიტყვები ბევრი იყო წარმოთქმული და სიცოცხლით სავსე იუბილიარი დიდის ქებითა და პატივისცემით იქმნა მოხსენებული.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

ალ. ყიფშიძე

### † ანდრია სიმონის ძე გამრეკელი

28 მაისს, დილის $9\frac{1}{2}$ საათზედ, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა მმართველი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ანდრია სიმონის ძე გამრეკელი.

განსვენებულმა სწავლა დაასრულა სატყეო ინსტიტუტში და 1865 წ. სახელმწიფო მამულების მინისტრის ბრძანებით, ერთის წლით გაგზავნილ იქმნა ტვერის გუბერნიაში, სადაც ტყეების გაშენების საქმეს უნდა შესდგომოდა, შემდეგ ამისა კავკასიაში იქმნა გამწესებული. 6 ოქტომბერს 1886 წ. უმაღლესის ბრძანებით ბ-ნი გამრეკელი დაინიშნა ქუთაისის გუბ. სახელმწიფო მამულების მმართველად, ხოლო 1894 წ. 13 დეკემბერს ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო მამულების მმართველად.

განსვენებულს შემდეგი ორდენები ჰქონდა მიღებული: წმ. სტანისლავის 1 და 2 ხარ., წმ. ვლადიმერის 3 და 4 ხარ., და წმ. ანნასი 2 და 3 ხარ. ამის გარდა რამდენჯერმე მადლობა მიუღია უმაღლეს მთავრობისაგან.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ხიდისთავი,** (გორის მაზრა). ამას წინად ვთქვით, რომ ს. ხიდისთავი ერთი საუკეთესო სოფელთაგანია მთელს ქართლში, განთქმული ღვინით და სხვით და პატარა კახეთს ეძახიანო. დიაღ, თუმცა ეს ასეა, მაგრამ რაო! სახელი სოფლისაა, სახრავი გორელებისა, მკვიდრნი-კი უუკიდურესს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი: ორი მესამედი იმათგანი ვალით არიან დამრჩვალნი, ამათი ღვინის მოსავალი სარგებელს ვერ ისტუმრებს და თითონ წლის ნაწვავ-ნადაგიდგან ხელცარიელი და მშივრები რჩებიან. ამათგან კოკა ტკბილი 2 და 3 მან. მიაქვთ და თითონ-კი შემდეგ ოც მან. ყიდულობენ დუქნებიდგან (კოკა ოცი ბაზრის თუნგია) და აი ამ ნაირად აქაური გლეხნი საუკუნოდ ვალში არიან ჩაფლულნი, სხვის მუშანი რჩებიან. პურიც ძალიან ნაკლებად მოსდით, რადგან მომეტებულად ვენახის მუშაობას მისდევენ. ამ მიზეზით პურსაც ჰყიდულობენ და ამ გვარად კიდევ უმატებენ ვალს, რომლის სარგებელშიაც მომეტებულნი წელიწადში იხდიან 3-დგან 5 მანეთამდე. ამ ხარჯებს რომ სხვა მრავალ გვარი ხარჯიც მივუმატოთ, მაგ; სიკვდილის დროს ქელეხებისა, რადგანაც ეს ხშირია ხიდისთავის ქვემო უბანში ამ უკანასკნელ 28—30 წელიწადს, რაც რკინის გზა გავიდა და ჭაობები გაჩნდა და ამ გზის მიზეზით, ამ ხანში აქ 65-დე კომლი კაცი ამოწყვეტილა *) რასაკვირველია, ამათ ხარჯსაც დანარჩენი მეკომურები ჰხდილობენ. საკომლო გარდასახადი, მღვდლის დრამა, მამასახლისის ჯამაგირი, სოფლის დარაჯის შესანახი ფული, ბეგარა და სხვა მრავალი წვრილმანი ხარჯი, ყველა ეს ალატაკებს და ტყავს სძვრებათ გლეხთ, რის გამოც ამაზედ საცოდავი და ღარიბი სოფელი, და ამასთან უპატრონო, იქნება საქართველოში მეორე არ მოიძებნებოდეს.

თამამად შემიძლიან ვთქვა, რომ ამ ნაირს უბედურებაში არ იქნებოდა ჩავარდნილი ეს სოფელი, რომ რიგიანი გულშემატკივარი, მხნე და გონიერი პატრონი ვინმე ჰყავდეს, ან რიგიანი მამასახლისი ჰყავდეთ, ან ჰყოლოდეთ, რადგანაც აქ მრავალნაირი შემოსავლიანი ადგილი მოიპოვება, რომლიდგანაც შეიძლება იმდენი თანხა შესდგეს, რომ ყველა სოფლის ხარჯი დაჰფაროს, გაუძღვეს და სასოფლო ბანკიც იქონიონ, სასწავლებლებიც და სხვა საზოგადო დაწესებულებანიც. ასეთი კაცი რომ ყოფილიყო ვინმე, ჭაობების დაშრობაზედაც იშუამდგომლებდა, ვისთანაც ჯერ არს, ხიდისა და გზების გაკეთების საქმისათვისაც და სხვანი. აი, მაგალითად, რა მხრიდგან შეიძლება შესდგეს საზოგადო თანხა: 1) აქ არის სასოფლო მამულზედ გაშენებული 50-მდე ვენახი, რომელზედაც შეიძლება დაედოს გარდასახადი მესამედი მოსავლისა, რომლის შემოსავალიც, სულ ცოტა, წელიწადში შეადგენს 1200 მან.; 2) არის აქ ცხვრისათვის საძოვარი ადგილი, საიდგანაც, სულ ცოტა, გაზაფხულობით, შემოდგომასა და ზამთრობით საბალახო 120 მან. მეტი შემოვა; 3) შეიძლება დაედოს გარდასახადი სხვა საზოგადოების მკვიდრთ, აქ ვენახების მქონეთ და მათ მებაღეებს, არა იმისათვის, რომ ეს საზოგადო კანონი იყოს, არამედ იმეტომ რომ სამაგიეროდ ამ გარდასახადისა აქაურებს გამოჰყავთ რუები და წყლები, რომლითაც სარგებლობენ ვენახის პატრონები, მაგალითად დღიურს ვენახზედ 3 მან. ეს დიდს არაფერს შეადგენს პატრონებისათვის, რადგანაც აქ ბევრი ისეთი ვენახია, რომლის პატრონთაც მარტო ძირის მოსავლით 500 და მეტი მან. შემოსდით წელიწადში.

4) შეიძლება სთხოვონ მთავრობას, რომ იმ მილიონ ფუთ საქონელზედ, რომელიც იგზავნება გორის რკინის სადგურიდან, ფუთზე $\frac{1}{2}$ ან $\frac{1}{4}$ კაპ. გარდასახადი დაედოს ამ სოფლის

*) წინად შეცდომით იყო ნაჩვენები ხუთი კომლი ამოწყვეტილად.

# ფელეტონი

**ნაწყვეტი**

წუთის სოფლისა სტუმარსა
ბევრი რამ გადამხედია,
მაგრამ ბილწის წინ არც ერთხელ
არ მომიხრია ქედია, —
და არც მოვიხო̄ი არას დროს,
თუნდ გაწყრეს შემოქმედია,
ჩალად მიმაჩნის უხანო
უბედობა და ბედია!..

დ. მაჩხანელი

## „ალისფერი სიკვდილი".

მოთხრობა ვ. ლ. ოლდენისა

შარშან მთელი ზამთარი იტალიაში გავატარე რივიერას ერთს ქალაქში, სადაც პატარა სახლი მქონდა დაქირავებული თავისის პატარა ბაღითურთ. ეს პატარა ქალაქი მეტად მიყვარს და მომწონს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეტის-მეტი მშვენიერი და საუცხოვო სანახავია და მეორეც, როგორც საავარაკო და სამკურნალო ადგილს, მას ჯერ არავინ იცნობს. აქ თქვენ შეგიძლიანთ სრულიად მოსვენებითა და მშვიდობიანად იცხოვროთ: არ გესმით მუდმივი, გულის შემაღონებელი ხველა ჰლექიახებისა და თუ ოდესმე შემთხვევით რომელსამე უცხოელს ნახავთ, იგი მაშინვე თავისს სენის ამბავს არ მოგიყვებათ; არც იმასა გკითხავთ, თუ თქვენი ფილტვები როგორ განისვენებენო.

მე, მადლობა ღმერთს, არა მიჭირს-რა: ფილტვებიც კარგადა მაქვს და გულიც. ერთად-ერთი ჩემი ავადმყოფობა უძილობაა და ამიტომაც მოვაშურე იტალიის მყუდრო და წყნარს ქალაქს. როგორც შევიტყე, აქვე სცხოვრობდა ერთი სხვა უცხოელი, გერმანელი, სრულიად ჯანსაღი და, როგორც გერმანელს, ეჭვი არ არის, არავითარი სურვილი არ ექმნებოდა გერმანულის ენის უვიცთან რაიმე ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონოდა. ამისათვის მისი მეზობლობა არც მე მაწუხებდა. ორისა თუ სამის დღის შემდეგ უცნობი მეზობელი ბაღში შემომხვდა და საშინლად გამაკვირვა: უცნობი გერმანელი ზედგამოჭრილი მოლტკე იყო. შეხედულობით იგი 70 წლისა იქმნებოდა, მაგრამ მოხუცებას ჯერ თავისი ბეჭედი ვერ დაესვა; მხნე სახე, მცირედ სასტიკი და გამომეტყველი მაგარის ხასიათისა, ნათლად ამტკიცებდა, რომ იგი სრულიად ჯან-საღი უნდა ყოფილიყო. მისი გარეგანი შეხედულობა უტყუვრად აცნობდა ადამიანს, რომ იგი მეცნიერი ვინმე უნდა ყოფილიყო, და მეც ამას ვფიქრობდი. შემდეგ-კი მართლა შევიტყე, რომ ჩემი უცნობი მეზობელი პროფესსორი თურმე იყო. თავს ტყუილად ვარიდებ, მისი გაცნობა ურიგო არ იქმნება-მეთქი, — გავივლე გუნებაში და თან ვფიქრობდი — შეიძლება ინგლისურიც იცოდეს, ან თუ არა-და, როგორც იქმნება, მივუხვდები ფრანგულს მეთქი.

ერთი კვირა უკვე გავიდა, რაც ამ უცნობის გერმანელის მეზობლად დავსახლდი და ამ დროს განმავლობაში ორჯელ შევნიშნე, რომ შუაღამის შემდეგ მისს ბაღში სინათლე მოჩანდა, ამასთან ნიჩბის ხმა ისმოდა. უძილობასაც თავისი უპირატესობა აქვს: ამ დროს ღამეც არა გამოეპარება-რა ადამიანს ისე, როგორც დღე, და ყველაფერი იცის, მისს გარშემო რა ხდება. მეც რომ სხვებისავით გულიანად დამძინებოდა, ვერც ამ საიდუმლო ღამის სინათლეს შევნიშნავდი და ვერც ნიჩბის ხმას გავიგონებდი. მაგრამ რას აკეთებდა ნეტა პროფესსორი ამ ღამეში? ეჭვი არ არის, არც ვენახს აკეთებდა, არც არხსა სთხრიდა. გერმანელს, და ისიც ფილოსოფოსს, არ შეუძლიან ნაშუაღამევს კომპოსტო ჰრგოს, ან ბაღი აკეთოს, ჭაობიანი ადგილები ამოაშროს. მიზეზი უთუოდ სხვა რამე უნდა ყოფილიყო: ეჭვი არ არის, ისეთს რასმე ჰფლავდა მიწაში, რაიცა მისის მოსაზრებით საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ვიცოდი ისიც, რომ იგი სრულიად მარტოდ-მარტო სცხოვრობდა, მოსამსახურე რა არის, ისიც-კი არა ჰყავდა; ამასთან, ეჭვი არ არის, არც კაცის მკვლელი უნდა ყოფილიყო, რომ თავისი მსხვერპლი ღამ-ღამობით ჩუმად ემარხა. გარდა ამისა, იმას, როგორც სწავლულს, არც იმოდენი ფული ექმნებოდა, რომ თავისი სიმდიდრე ველარსად და ეტია და უთუოდ მიწაში ჩაეფლა. ჩემის მეზობლის ბაღში რომ სინათლე მესამედ დავინახე, ვიფიქრე, ურიგო არ იქნება შევიტყო, რას სჩიჩქნის იმ მიწაში ამ ღამით, როდესაც ყველა მისს მეზობლებს სძინავთ-მეთქი.

რამდენისამე დღის შემდეგ გამოცანა თავის-თავად აიხსნა, საიდუმლო გამომჟღავნდა და არც თუ იმდენად რთული გამოდგა იგი, როგორც ვფიქრობდი. ჩემ მეზობელთან მუდამ მიჰყავდათ კალათით ბაჭიები, ზღვის გოჭები. ახლა-კი მივხვდი, რას აკეთებდა პროფესსორი, ან ღამით რატომ მოისმოდა იმის ბაღიდამ ნიჩბის ხმა. ეჭვი არ არის, მოეღებოდა თუ არა ბოლო ამ პატარა ცხოველების სიცოცხლეს მეცნიერის ხელში, იგი მაშინვე ბაღში ჰმარხავდა ღამ-ღამობით, რომ ამით ზოგიერთ ხალხის ცრუმორწმუნოებანი არ შეელახნა, რომელთაც ჰგონიათ მეცნიერნი თავისის სიამოვნების გულისათვის უსპობენ სიცოცხლეს ცხოველებსაო. უცნობი პროფესსორი უკვე ნანახი მყავდა და თუნდა ფიცს დავდებ, რომ იმაზედ გულ-ჩჩვილი და წყნარი კაცი ბევრი აღარ მოიძებნებოდა. მაშასადამე, გულ-ავობითა და გულ-ქვაობით არ მოსდიოდა ესა. მართალია, მისი ბაჭიები და გოჭები სიცოცხლეს უდროვოდ ესალმებოდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მისდა სასარგებლოდ იხოცებოდნენ და ამიტომ სრულიადაც არ ვსწუხდი.

ცოტ-ცოტა მე და პროფესსორმა შვარცმა ერთმანეთი გავიცანით. პირველად, რასაკვირველია, ნაცნობობა იმითი დავიწყეთ, რომ მოაჯირს აქეთ-იქიდამ რამდენჯერმე ზრდილობიანად გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. პროფესსორი ინგლისურად საუცხოვოდ ჰლაპარაკობდა. ჩვენ ორნივენი ჩვენს ჩვეულებას არასოდეს არა ვღალატობდით და სადილს შემდეგ მუდამ და ერთსა და იმავე დროს სიგარას ვეწეოდით ჩვენს ბაღში, ერთი აქეთ, მეორე იქით. ჯერ პირველად ჩვენი სალაპარაკო საგანი მხოლოდ ამინდი იყო, შემდეგ-კი უფრო საყურადღებო საგნებსაც შევეხებოდით ხოლმე. ბოლოს ჩემს ბაღში გადმოვიწვიე, რომ ყვავილები და მცენარეები დაეთვალიერებინა, რომელთაგანაც ყველას სახელი არ ვიცოდი, და პროფესსორმაც უარი არ გამიცხადა, გადმოვიდა. მე, რასაკვირველია, დარბაზობა გადაუხადე და, წარმოიდგინეთ, აღმოჩნდა, რომ იმასაც ჩემსავით ჰყვარებოდა ჭადრაკის თამაშობა. ამან ხომ უფრო დაგვაახლოვა და ყოველს საღამოს შვიდიდგან ცხრამდე ჭადრაკით ვირთობდით თავსა.

პროფესსორი სამაგალითო და საყვარელი მოლაპარაკე აღმოჩნდა. იგი თურმე ექიმი იყო, მაგრამ ახლა მკურნალობისათვის თავი დაენებებინა და ბაქტერიოლოგიის შესწავლას შესდგომოდა; ამასთან მეტად განვითარებული კაცი იყო და არ მოიძებნებოდა საგანი, რომლის შესახებაც თავისი გარკვეული აზრი და რწმენა არა ჰქონოდა. ყველაზედ მეტად-კი მისი წყნარი და მშვიდი ხასიათი მომწონდა. მისი კაცთ-მოყვარეობა სამაგალითო და მისაბაძავი რამ იყო: იგი არ არჩევდა არც ეროვნებას, არც სარწმუნოების სხვადა-სხვაობას აქცევდა ყურადღებას. ჩაგრულთა და ღარიბთა ტანჯვა-მწუხარება, მიუხედავად იმისა, გერმანელი იქმნებოდა იგი, იტალიელი თუ ფრანგი, ერთნაირად უღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასარგებლოდ და აგრეთვე მედუქნე მოვაჭრეებსაც, რომელნიც ვაჭრობენ სადგურის გამოღმა, რადგან ეს მხარე ეკუთვნის ხიდისთავის საზოგადოებას. ეს ადგილი გორის ხიდიდან დაწყებული—მინდორი, ტყე და მშვენიერი კლდის მადანი ყოფილა ხიდისთაველებისა, რომელზედაც დავა ჰქონია აქაურ აზ. ჯომარდიძეს. ერთხელ მარჯვე წუთი შეხვედრია და ეს მილიონად ღირებული მამული მიუყიდნია თ. ერისთავისთვის ამ 60 წ. წინად; როდესაც მოსულა სახლში ცოლისთვის გადუგდია ფული და უთქვამს: „აი, ქალო, აიქ ქალაში მოვდიოდი, ფეხი წამოვკარ ჩირგვსაო და თხუთმეტი თუმანი წამოვაგდეო“. ასე და ამ გვარად კიდე უპატრონობით ეს უკვდავება მამული დაჰკარგა სოფელმა.

ამ გვარად, რიგიანი პატრონი რომ ჰყავნდეთ, წელიწადში 5,000 მან. შემოუვა საზოგადოებას, რაც შესამჩნევად წასწევს წინ ყოველ მხრივ ამ ჟამად გაწყალებულს სოფელს. მაგრამ ვინ არის ამათი მზრუნველი, ან საიდამ და როდის გამოუჩნდებათ ამისთანა ღვთიანი კაცი, მეპატრონე! ეხლაც, თუმცა არის სასოფლო შემოსავალი, მაგრამ ეს ფული სად მიდის, რას ახმარებენ, მარტო იმათ იციან, ვის ხელშიაც ვარდება იგი. ხალხი-კი უარეს სიღატაკესა და ტყვეობაში ცვივა და ის შედეგი მოჰყვება ამას, რომ მომეტებულნი მკვიდრნი ბოლოს სრულებით უმამულონი, ცარიელები დარჩებიან და კარის-კარ მავალ მთხოვრებად გადაიქცევიან. ეს რომ ასე იქნება, იქიდგანაცა სჩანს, რომ დღითი დღე უსაღსრობის გამო ეყიდებათ ვალში ვენახები და მამულები. წინად თუ ერთს კომლ გლეხს ჰქონდა სამი და ოთხი ვენახი, ეხლა ერთი დარჩენია, ისიც შორს განაპირას ახლად გაშენებული, და ის ერთიც აგერ დღეს, თუ ხვალ ჩაქუჩს დაჰკრავენ და გაეყიდება. ამ მაისის თვეში სამ ოთხ გლეხს გაეყიდა უკანასკნელი ვენახი საჯარო ვაჭრობით. ერთს სამი ვენახი, ს ხნავი და სახლის ადგილი გაეყიდა და დარჩა ერთის ქოხის ამარა.

თუ რა შემწეობასა და პატრონობას უნდა მოელოდეს ეს საბრალო სოფელი თავიანთ მოხელისაგან, ამას თვალ ნათლივ გვიხატავს შემდეგი გარემოება: რვა მაისს აქეთ ცვარი წყალი აღარ უნახავთ, რომლის გამო დიდად და დიდად გაჭირვებულნი არიან როგორც მკვიდრნი, აგრეთვე წვრილ-ფეხი საქონელი და რამდენიმე ასი და ორასი ვენახი და სახნავ-სასიმინდე. ჭირნახული ხმება ვენახებში და ის-კი ყურთმაჯ-გადაგდებული ჯაჭვით დაბძანდება, ვითომც და ეს იმისი საქმე არ იყოს, არამედ ბაქოელი ალი-მაშადისა. აბა ამ საქმის გაკეთება რა დიდი საქმეა. სულ ათის თუმნის მუშაობით ერთს დღეს მთელს ტანას გინდა აღმა გაუყენებ და გინდა დაღმა. ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ რუს სათავე გაუკეთონ, ან ვინ უთხრა იმ მოღვაწეს, უარი ბეგარაზედ გასვლისა, ან ფულის მიცემისა?.. იმისთანა პატიოსანი და შემძლებელნი ვენახების პატრონები არიან, როგორც მაგალითად ალიხანოვები, ტერსტეფანოვები და სხვები, რომ ოღონდ კი იკისროს ვინმემ ამისთანა საქმე და წყალი ჰქონდეთ, 3—10 მან. არ დაჰზოგავენ წელიწადში. შარშანაც მოუკრეფიათ წყლის გამოსაგდებლად ოცი თუმანი, მაგრამ რა იქნა ეს ფული, ამისი არავინ არა იცის რა.

ტა-ლი

## უცხოეთი

—

**საბერძნეთი.** საბერძნეთის ჯარის ოსმალების მიერ დამარცხების შემდეგ ბერძნები მხოლოდ იმის ცდასა და მეცადინეობაში არიან, რომ ვისმეს მოახვიონ დანაშაული და ჯავრი იმაზედ იყარონ. ჯერ იყო და მთელმა საბერძნეთის ერმა მეფე გიორგის და ტახტის მემკვიდრის წინააღმდეგ დაიწყო ყაყანი: „მაგათ დაგვღუპეს, სულ მაგათი ბრალია ჩვენი დამარცხებაო“ გაიძახოდა ყველა. ხალხი იმდენად აღელდა, რომ მზად იყო რევოლიუცია მოეხდინა, მაგრამ ევროპის სახელმწიფოთ დროზე შეაყენეს. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ბერძნები თან და თან ურიგდებიან მეფეს და პირ იქით ხსნას იმისაგან მოელიან. სამაგიეროდ ბერძნების გასაკიცხ საგნად დღეს ესრედ წოდებული „ჰეთნიკე გეტერია“-ა. „ჰეთნიკე გეტერია“ საზოგადოებაა, რომელსაც მიზნად საბერძნეთის გაძლიერება და წარმატება აქვს. მართლაც „ჰეთნიკე გეტერია“-ს დიდი დანაშაული მიუძღვის საბერძნეთ-ოსმალეთის ომში და ეხლანდელი ხალხის უკმაყოფილება ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანია. ომის დაწყებამდე ამ საზოგადოების აგენტები ავრცელებდენ ხმას, რომ საბერძნეთთან ერთად ოსმალების წინააღმდეგ მაკედონია, ეპირი და ყველა ის პროვინციები, სადაც ბერძნები არიან, მიიღებენ მონაწილეობასო და ოსმალების დამარცხება სულ ადვილი იქმნებაო. საჭირო იარაღი ყველას დარიგებული აქვსო და მხოლოდ საბერძნეთისაგან ნიშანს მოელიან, რომ ოსმალების ჟლეტა დაიწყონო. ასეთს ხმებს იჯერებდა არა მარტო უბრალო, გაუნათლებელი ხალხი, არამედ თვით ინტელიგენციაც და ყველა ერთხმად თხოულობდა ოსმალებთან ომს. მთავრობა იძულებული გახდა ომი გამოეცხადებინა, თუმცა მეფე და პირველი მინისტრი დელიანისი წინააღმდეგნი იყვნენ. ომი გათავდა და ყველამ აშკარად დაინახა, რომ „ჰეთნიკე გეტერიას“ მიერ გავრცელებული ხმები ტყუილი ყოფილა. არც მაკედონიამ და არც ოსმალეთის სხვა პროვინციებმა მონაწილეობა არ მიიღეს ომში და მხოლოდ საბერძნეთს, თავისს მცირე რაზმით, მოუხდა ბრძოლა. თვით „ჰეთნიკე გეტერიამაც“ არაფერი გააკეთა ომის დროს და ის აუარებელი ფული, რომელიც მდიდარმა ბერძნებმა ამ საზოგადოებას შესწირეს, არაფერს მოახმარა.

აი ასეთმა მოქმედებამ გამოიწვია ხალხის უკმაყოფილება და ეხლა ყველანი, ხალხიცა და ჟურნალ-გაზეთებიც იმას თხოულობენ, რომ ხსენებული საზოგადოების წევრები სამართალში იქმნან მიცემული. მთავრობასაც შეუსმენია ხალხის თხოვნა და რამდენიმე წევრი უკვე დაუპატიმრებია და დანარჩენთაც უთუოდ მერე მოელის დაპატიმრება.

—

**ოსმალეთი.** რამდენად დიდს მნიშვნელობას აძლევენ ოსმალები ბერძნებზე გამარჯვებას, აშკარადა სჩანს წერილიდგან, რომელიც ოსმალეთის ვეზირს სულთანისთვის მიუწერია და რომელიც „Standard“-შია დაბეჭდილი.

ჩვენი ჯარის გამარჯვებამ ბერძნებზეო, სწერს ვეზირი, იმდენად გაახარა და გააცოცხლა ხალხი, რომ ვინც თქვენი უდიდებულესობის წინააღმდეგი იყო, ეხლა თქვენი თაყვანისმცემელი და მომხრეა. მთელი ისლამი ამ ჟამად ერთს ხორცს და ერთს სულს შეადგენს და იმის დამარცხება არავითარს ძალას აღარ შეუძლიან. ევროპის სახელმწიფოს უყურეთ, როგორც ჩვენ მტერთ, რომელთ ერთად-ერთი მიზანი ოსმალეთის მოსპობაა. თუ ეხლა ჩვენ დავუთმეთ ევროპას და იმის ჭკუაზე გავიარეთ, არამც თუ გავაუმჯობესებთ სახელმწიფოს მდგომარეობას, პირიქით თვით ჩვენ ოსმალებს გადავიმტერებთ, რის გამოც სახელმწიფო უფრო განსაცდელში ჩავარდება. ამიტომ გთხოვთ და გაფიცებთ, თქვენო უდიდებულესობავ, არ დაუთმოთ საბერძნეთს თესალია და საერთოდ ევროპის ლაპარაკს არ აჰყვეთ. არა ერთხელ მოქცეულხართ ევროპის წინააღმდეგ და კიდეც გაგიმარჯვიათ, იმედია, ეხლაც ეცდებით არ დაუთმოთ ევროპას. თუ თქვენი უდიდებულესობა ჩემი თანხმა არ არის, ნება მიბოძეთ სამსახურს თავი გავანებო.

## ნაკვესი

—

ერთხელ ვალტერ-სკოტი მეგობართან დასეირნობდა და გზაზედ გლახა შეხვდა. პოეტმა ხელი ჩაიყო ჯიბეში და აღმოჩნდა, რომ წვრილი ფული არა ჰქონდა.

— აი, ჩემო ძმაო, წვრილი ფული

---

ნებდა გულს, აწუხებდა. ცხოველებიც დიდად უყვარდა, თუმცა ამ უბედურებს ყოველდღე სიცოცხლეს უსპობდა მეცნიერების გულისათვის. პროფესსორი შვარცი და ჩემი ძაღლი მალე დამეგობრდნენ დ შვარცი იმდენს სიამოვნებას არასოდეს არა ჰგრძნობდა, როგორც მაშინ, როდესაც იგი ფერხთით წამოუწვებოდა და თავს მუხლებზედ შეუდებდა ხოლმე. მეტად მიკვირდა, თუ როგორა სძლებდა იგი ასეთს მარტოობასა და ერთხელ კიდეც ჩავეკითხე. აი რა მიპასუხა: კაცი უნდა სხვებისათვის სცხოვრობდეს და ჩემი საქმე ყოველგვარს სიამოვნებას მირჩევნიაო.

ერთხელ, როდესაც ჩემი ძაღლი სახლში დაბრუნდა, შევატყე, რომ საშინლად იტანჯებოდა. საბრალო თავით ფეხამდე მთლად დასიებულიყო; რის ვაი-ვაგლახით ძლივს მოფოფხდა წკმუტუნით და ფერხთით დამიწვა. მაშინვე ჩემის მეზობლისაკენ გავექანე, რომ ეგება როგორმე ეშველა და საცოდავი ძაღლი სიკვდილისაგან გადაერჩინა. პროფესსორმა ერთი წამიც არ დააყოვნა, მაშინვე ვეებერთელა ბოთლი სადეზინფექციო სითხე წამოიღო და წამოვიდა. მაკვირვებდა მხოლოდ ერთი გარემოება, რომ ექიმი, რომელსაც ერთს დროს ისე დიდი პრაქტიკა ჰქონდა, ასე ჰღელავდა და თითქოს ჰშიშობდა კიდეც. სახლში რომ დავბრუნდით, ძაღლი უკვე მომკვდარიყო. პროფესსორმა მაშინვე მთელი ბოთლი სითხე ზედ მიაქცია მკვდარის ძაღლის ლეშს, მე-კი თავისს სახლში გამგზავნა, რომ ნიჩაბი მომეტანა. ნიჩაბი მოვუტანე. პროფესსორმა დიდის სიფრთხილით გადაათრია ძაღლი ბაღში და ასეთისავე სიფრთხილით დაფლა, რომ ხელი არ შეეხო. შემდეგ სახლში წავიდა და მიბრძანა, რომ იმ ოთახიდგან, სადაც ძაღლი მოკვდა, ფეხი არ გამედგა გარეთ. მალე დაბრუნდა და თან მოიტანა ქიმიურად შემდგარი სხვა-და-სხვა სითხე, ასხურა ოთახს, ყოველსავე ავეჯს რომელიც-კი მუნ მოიპოვებოდა და თვითონ მეც. ოთახი წამლების ბუღით გაივსო. დეზინფექცია რომ დაათავა, ჩავეკითხე—მაინც რა მიზეზია, რომ ასე უცბად მოკვდა-მეთქი საბრალო ცხოველი?—მოიწამლებოდაო,—მიპასუხა და დამიწყო გამოკითხვა: ხომ არ გინახავთ, მიწას ხომ არა სთხრიდა ბაღშიო. ეს არ დამენახა, მაგრამ მივხვდი, რასაკვირველია, რომ მიზეზი მოწამვლა იყო იმ გოჭებისა და ბაჭიებისაგან, რომლებზედაც სხვა-და-სხვა გადამდებ სენთა ძალასა სცდიდა ხოლმე პატივცემული პროფესსორი და შემდეგ ბაღში ჰფლავდა. ახლა-კი აღარ მიკვირდა, რად ეკიდებოდა იგი ისეთის სიფრთხილით ძაღლის ლეშს, ან იმდენი სადეზინფექციო საშუალებანი რისთვის იხმარა.

უკვე ორი თვე გავიდა, რაც მე და ჩემი მეზობელი პროფესსორი დავნაცნობდით. ერთს საღამოს, როდესაც მე და ის ჩვეულებრივად ერთად ვისხედით და ვბაასობდით, ანარქისტებზედ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. ის-კი იყო, იმ ხანებში ანარქისტებმა ჩვეულებრივად ყუმბარა ისროლეს პარიზში. მე საშინლად ვცხარობდი და ვკიცხავდი ამ ბოროტ-მოქმედთ.

— ანარქისტი მტკნარი სულელიაო, —სთქვა პროფესსორმა შვარცმა. იგი არასოდეს არ სდევნის იმათ, ვინც უფრო ღირსია სიკვდილისა და საშუალებაც ამ დევნისა რიგიანი და მოსაწონი ვერ არისო.

— ვითომ რა გინდათ სთქვათ, ვის არა სდევნის?—ჩავეკითხე.

— ისევ იგივე, რაიცა ვსთქვი,—მიპასუხა შვარცმა. ისინი სდევნიან მხოლოდ იმათ, ვისაც ფული აქვს, მაგალითად კაპიტალისტებს, დიდსა და პატარა ვაჭრებს, მემამულეთ. ყველა ესენი საჭირონი არიან, რომ კაცობრიობამ იბოგინოს. მუშა ხალხი-კი რომ ამოეწყვიტათ, მართლა იხსნიდნენ ქვეყანას სიღარიბისა და ტანჯვისაგან. მაგრამ ეს ანარქისტებს როდი ესმით.

— უნდა გამოგიტყდეთ, არც მე მესმის. როგორ, თქვენის აზრით მაშ ტანჯულნი უნდა გავწყვიტოთ, რომ მით ტანჯვას ბოლო მოვუღოთ?

— მაგის შესახებ „ჰოც“ ითქმის და „არაც“,—სთქვა პროფესსორმა. ყური დამიგდე, მეგობარო! სიღარიბე სულ იმისი ბრალია, რომ ხალხს მიწა აღარა ჰყოფნის საცხოვრებლად. რა არის მიზეზი, რომ იტალიელი დღეში ორ ფრანკად მუშაობს და თავისს სიცოცხლეში ნახევარზედ მშიერია? ამბობენ, მუშას კაპიტალისტი ჰხუთავს სულსაო. ეს სისულელეა. მუშა მხოლოდ იმისთვის ჰმუშაობს დღეში ორ ფრანკად, რომ მუშათა რიცხვი მეტად გამრავლდა და სამუშაო ფასი დაეცა. აბა ვცადოთ და მუშათა რიცხვი ნახევარზედ შევამციროთ,—ფასი მაშინვე ერთი ორად იმატებს. ესევე ითქმის იმათ შესახებაც, რომელნიც მიწის მუშაობით ძლივს-ძლივობითა სცხოვრობენ. თვითოეულს მათგანს მხოლოდ ერთი პატარა ნაჭერი მიწა აქვს და დღითი-დღე ძლივს ჰშოულობს იმდენს საზრდოს, რომ შიმშილით არ მოკვდეს. შეამცირეთ მათი რიცხვიც და ჰნახავთ, რომ დანარჩენთათვის შემოსავალი უთუოდ იმატებს.

— ყოველივე, რაც-კი სთქვით, მართალია, მათემატიკურად გამოანგარიშებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა ისე ღრმად აღარა მწამს სინამდვილე მაგ ციფრებისა, როგორც უწინ, როდესაც ახალგაზდა ვიყავი.

— ყველა, ვინც-კი ცხოვრებას აკვირდება, უთუოდ დამეთანხმება, რომ ქვეყნიერობა მცხოვრებთ ვეღარ იტევს,—განაგრძო პროფესსორმა, რომელმაც ჩემს სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. ახლა რომ, მაგალითებრ, ევროპის მუშათა ორი მესამედი შავმა ჭირმა გააწყოს, დანარჩენნი ბედნიერადა და კმაყოფილად იცხოვრებდნენ. მაგრამ ანარქისტს ეს არ ესმის. მას ჰსურს კაპიტალისტები გასწყვიტოს, ე. ი. ის ხალხი, რომელიც სხვის ნაშრომით სარგებლობს, და ამითი მუშას ცხოვრება შეუმსუბუქოს. მე-კი, პირ-იქით, ამ ფულიანს ხალხს, რომელიც სხვას სამუშაოს უჩენს, თითსაც არ დავაკარებდი; ვეცდებოდი მხოლოდ ეს აუარებელი მცხოვრებთა რიცხვი შემემცირებინა, მომესპო სენი, რომელიც დღითი-დღე, წლითი-წლობით ძლიერდება, მწვავობს. მართალია, თქვენს მალტუსს დაებადა აზრი იმისი, ქვეყნად რაცა ხდება, მაგრამ ის-კი არ იცის, რა წამალი აქვს ამ სენს, რითი გაჰკურნოს იგი.

— როგორცა სჩანს, საშუალებაც ყოფილა-მეთქი?—დავეკითხე.

— დიაღაც. აკი გითხარით კიდეც: ასეთ საშუალებად მხოლოდ ის მიმაჩნია, რომ მუშათა რაოდენობა შევამციროთ. კაცი, რომელიც ამას მოახერხებს ადრე და მალე, ქვეყნისათვის ერთ უდიდეს კეთილისმყოფელად ჩაითვლება.

მე, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მიმაჩნდა, რომ ეს მშვიდი, წყნარი და გულჩვილი ადამიანი ისე დაბეჯითებით მიმტკიცებდა,—დედამიწის ზურგზედ მცხოვრებთა რიცხვი უნდა გავანახევროთო, მაგრამ იმ დროს მისს სიტყვებს არავითარს ყურადღებას არ ვაქცევდი. არ ვაქცევდი ყურადღებას იმიტომ, რომ ხშირად ისეთს ხალხს, რომელიც ასეთს საზარელსა და სასტიკს დედააზრებსა ჰქადაგებს, თითონ არ სჯერა, რომ იმათი თეორია გამართლდება, განხორციელდება. ჩემ წინ ამ ჟამად კაცობრიობის სნეულ და სუსტ წევრთა მკურნალი იდგა და, წარმოიდგინეთ, იგივე ადამიანი ჰქადაგებდა, რომ ქვეყნიერების კეთილდღეობა მოითხოვს რამდენიმე მილიონი სრულიად ჯან-საღი და ღონით სავსე ხალხი გავწყვიტოთო!..

ინ-ანი

(შემდეგი იქნება)

არა მაქვს, ეს წაიღე და დანარჩენი შენჩედ იყოს.

— გაკურთხოს უფალმა, ბატონო, და იმ დრომდე გაცოცხლოთ, ვიდრე ამ ფულს გადავიხდიდე.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობა განსაკუთრებით ბევრს ყმაწვილს უდროვოდ გამოასალმებს ხოლმე წუთი-სოფელს. პირველ ორის წლის განმავლობაში ეს ავადმყოფობა ყველა სხვა ავადმყოფობაზედ უფრო ხშირად ეწვევა ხოლმე ყმაწვილებს. ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ძლიერ მრავალი წამალია, მაგრამ თვით ეს სიმრავლე წამლებისა ამტკიცებს, რომ არც ერთი მათგანი უებარი არ უნდა იყოს. აქაც, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, იმდენად სასარგებლო არ არის სხვა-და-სხვა წამლები, როგორც მოვლა ავადმყოფისა. ნორჩის ყმაწვილისათვის ათას გვარ წამლებს ისა სჯობს, რომ კაცმა ჯერ შინაური ღონისძიება იხმაროს. ამგვარ ღონისძიებათა შორის ითვლება ბოთლში მოხარშულ ხორცის წვენი ანუ ბულიონი. საზოგადოდ დამტკიცებულია, რომ მაგარი წვენი ხორცისა მეტად სასარგებლოა ყოველ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანს კუჭი აქვს დასუსტებული ან კიდევ ნაწლევების ავადმყოფობა აქვს. მაგალითად, როცა ყმაწვილს კუჭისა ან ნაწლევების ანთება აქვს, რაც უნდა საჭმელი მისცეთ, ვერ ინელებს და უკანვე ამოსდის პირიდგან. ბულიონს-კი ძლიერ ადვილად ინელებენ. გარდა ამისა ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ყმაწვილები ძლიერ დიდის სიამოვნებითა სვამენ ამ ბულიონს. ექვს თვეზე ნაკლებ ხნის ყმაწვილებს ყოველ 15 წუთში ერთი ჩაის კოვზი ბულიონი უნდა დაალევინოთ, ხოლო მეტის ხნისას—იმავე დრო გამოშვებით ორ-ორი კოვზი, ასე რომ ერთის დღის განმავლობაში პირველი ნახევარს სტაქანს დალევს ბულიონსა და მეორე—ერთს სტაქანს. თუ პირ-საქმება შეუწყდა ყმაწვილს, მეოთხე დღეს შეიძლება რძეც აჭამოთ.

განსაკუთრებით სასარგებლოა ბულიონი მაშინ, როდესაც ყმაწვილს ძუძუს მოაშორებენ. ამ დროს ყმაწვილი ხშირად ავად ხდება ხოლმე და ბულიონის გარდა ვერაფერს ინელებს.

ეხლა იმასაც მოგახსენებთ, როგორ უნდა გაკეთდეს ბულიონი. ძროხის ხორცს უნდა მოაცილოთ ქონი, მერე წვრილად დასჭრათ, ჩაჰყაროთ სუფთა ბოთლში, ბოთლს პირი მაგრა დაუცვათ და ჩასდგათ წყლით სავსე ქვაბში; მერე წყალი ადუღოთ. წყალი რომ ადუღდება, 10 წუთის შემდეგ ხორცი წვენს გამოსცემს. ამ წვენის გაწურვა საჭირო არ არის. ეს-კი უნდა ვსთქვათ, რომ ხბოს ხორცისაგან უფრო უკეთესი ბულიონი კეთდება, ვიდრე ძროხის ხორცისა. საზოგადოდ სასურველია, რომ ამ მშვენიერსა და ნოყიერს საჭმელს უფრო ხშირად აჭმევდნენ ყმაწვილებს.

* * *

მექსიკის ზოგიერთ ადგილებში ძლიერ უცნაური ჩვეულება ყოფილა. განსაკუთრებით საოცარია დასაფლავების წესი მექსიკის ერთს ქალაქში—გუანაპუატაში. ქალაქის სასაფლაოზედ განსვენებულ გვამს მხოლოდ ხუთის წლითა აქვს ადგილი. ხუთის წლის შემდეგ-კი, განსვენებულის ნათესავებმა ქალაქის გამგეობას ფული უნდა მისცენ და ნება-რთვა აიღონ, გვამი იმავ ადგილას დარჩეს. მარტო მდიდად კაცს შეუძლიან ერთხელ და სამუდამოდ ფული შეიტანოს ქალაქის გამგეობაში და მაშინ განსვენებულის გვამს ხელს არ ახლებენ.

გუანაპუატას სასაფლაო სრულებით არა ჰგავს ჩვენებურს სასაფლაოს. ქალაქს გარედ გაშლილ მინდორზედ დიდი შენობა არის. ამ შენობას არც კარი აქვს და არც ფანჯარა. შენობა შიგნიდგან გვირაბს წარმოადგენს. ამ დიდსა და კარგა გრძელ გვირაბში დიდრონი დოლაბებია, რომლებშიაც ასვენებენ განსვენებულის გვამს. დოლაბზედ აწერია სახელი, გვარი განსვენებულისა, დაბადებისა და გარდაცვალების დღე. მთელის ხუთის წლის განმავლობაში მიცვალებულის გვამს ხელს არავინ ახლებს. თურმე ამ გვირაბში რაღაც მიზეზის გამო ადამიანის გვამი სრულებით არ იხრწნება. ხუთის წლის შემდეგ განსვენებულის ნათესავებმა უნდა გადიხადონ 125 ფრანკი და თუ ეს ფული არ გადიხადეს, მიცვალებულის გვამს დოლაბიდგან ამოიღებენ და იქვე გვირაბში კედელზედ მიაყუდებენ, გულზედ მიაკვრენ ფიცარს და ზედ წააწერენ მიცვალებულის ვინაობას. ამ გვარად, კაცმა რომ ზემოხსენებულ გვირაბში გაიაროს, ორთავე მხარეს კედლებზედ მიყუდებულ გვამებსა ჰნახავს. სულ ერთი არის, ვისი გვამიც უნდა იყოს, მდიდარისა თუ ღარიბის, გამოჩენილ და სახელოვანის კაცისა თუ სრულიად უბრალო მუშისა, ყველა კედელთან არის აყუდებული და სამუდამოთ ასე იქმნება, თუ მიცვალებულის პატრონმა 125 ფრანკი არ გადიხადა. წეღანაც მოგახსენეთ, გვამი სრულიად არ იხრწნება ამ გვირაბში და ოცის წლის შემდეგაც-კი კაცი ადვილად იცნობს თავის ნათესავსა ან ნაცნობის გვამს.

ხშირად ნათესავები არ იხდიან ხვედრს 125 ფრანკსა და საბრალოს კაცის გვამი უკუნითი უკუნისამდე კედელზედ უნდა იყოს მიყუდებული. მაგრამ ზოგჯერ ნათესავებს შერცხვებათ ხოლმე, მოაგროვებენ ურთიერთ შორის 125 ფრანკს, მიუტანენ ქალაქის გამგეობას და გვამს დოლაბში დასვენება ეღირსება.

გაზეთები სწერენ, რომ გუანაპუატაში შემდეგი ამბავი მომხდარა. ერთი კარგის ოჯახის ქალი დაქვრივდა და რამდენისამე წლის შემდეგ ხელ-მეორედ გათხოვდა. განვლო პირველ სიტკბოების ჟამმა, ქალს მოაგონდა თვისი პირველი ქმარი და მეორე ქმართან ერთად წავიდა სასაფლაოზედ თვისის პირველის ქმარის საფლავის სანახავად. თურმე, ნუ იტყვით, მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ხუთ წელიწადზედ მეტი გავიდა და ეს გარემოება სრულიად დაჰვიწყებოდა ქალსა. მივიდნენ სასაფლაოზედ და ქალმა ნახა, რომ მისის პარველის ქმრის გვამი კედელთან იდგა ატუზული. ქალს გული წაუვიდა. ქმარმა შეჰფიცა გრძნობიერ მეუღლეს, შენ-კი გული დაიმშვიდე და რასაც-კი მთხოვს ქალაქის გამგეობა, გადავიხდი და საუკუნო საფლავს ვუყიდი შენს პირველს მეუღლესაო.

## სწორე გზა.

(წერილი რედაქციისადმი)

წინედ ქართულის ენის სახელმძღვანელოების ბედ-იღბალი ამ გზით სწყდებოდა: ავტორი დაბეჭდავდა წიგნსა, წარუდგენდა გასაშინჯად და დასაფასებლად რომელსამე ქართულს დაწესებულებას, მოისმენდა მიუდგომელი კრიტიკის ვრცელს და დასაბუთებულს მსჯელობას, და თუ მისი წიგნი აღმოჩნდებოდა ღირსეულ ნაწარმოებად, მაშინ იგი მთავრობას წარუდგენდა მოსაწონებლად. ასეთი გზა გაიარა სავსებით, მაგალითად, „დედა-ენამა“.

ბ-ნმა ნათაძემ სრულიად სხვა გზა ამოირჩია. მან რვეულად, ხელთნაწერად წარადგინა სადაც ჯერ არს თვისი წიგნი „ბავშვების მოკეთე“. ჩვენ ეს გზა უკუღმართ გზად ვაღიარეთ (და ვინ არ აღიარებს?) და ვსთქვით: ბოლოდგან საქმე იმიტომ დაიწყო, რომ მისი ღარიბი წიგნაკი ნორმალური, სწორე გზით დაბადებასაც ვერ ეღირსებოდა თქო.

ბ-ნი ნათაძე გუშინ-წინდელს თავისს წერილში ცდილობს თავი იმართლოს ლიტონის სიტყვებითა, რომელთაც არავის თვალში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ მას უფრო უკეთესს გზას ვუჩვენებთ თავის გამართლებისათვის საზოგადოების წინაშე. თუ ბ-ნს ნათაძეს მართლა საზოგადო სიკეთე ამოქმედებს, იმან უნდა ახლა მაინც აასრულოს ის, რასაც მოითხოვს წმიდა მოვალეობა ხალხის განათლების წინაშე ყველა ქართველი მასწავლებელისაგან. სახელდობრ, მან უნდა წარუდგინოს თავისი ხელთნაწერი გასასინჯად და დასაფასებლად ან წერა-კითხვის საზოგადოებას, ან თბილისის საიზნაურო სკოლის კომიტეტს პედაგოგიური რჩევისთვის, ან ქუთაისის სააზნაურო სკოლასა. ამ სამს დამოუკიდებელს დაწესებულებაში ერთი რომელიმე, ბ-ნი ნათაძის მიერვე ამორჩეული, დანიშნავს კამისიასა განვითარებულის და მიუდგომლის პედაგოგებისა და ლიტერატორებისაგან, რომელნიც რამდენისამე დღის განმავლობაში გაიცნობენ „ბავშვების მოკეთეს“, შეადარებენ წიგნთან, რომელიც ახლა იხმარება სახალხო სკოლებში, მიიღებენ მხედველობაში, რომ პირველი საკითხავი წიგნი ამ სკოლებისათვის უკანასკნელიც არის, რადგან აგერ ხუთი-ექვსი წელიწადია მეორე საკითხავი წიგნი აღარ იგზავნება, და დაადგენენ სამართლიანს გადაწყვეტილობასა.

— თუ ეს გადაწყვეტილობა იტყვის, რომ „ბავშვების მოკეთე“ ცოტათი მაინც სჯობიან შინაარსის სიმდიდრით და ღირსებით ახლანდელს ქართულს სახელმძღვანელოს, რომლის სანაცვლოდ არის იგი დანიშნული, მაშინ ბ-ნი ნათაძე გამართლდება საზოგადოების წინაშე, ჩვენ აღარა გვეთქმის რა და მისს წიგნს ფართო გზა გაეხსნება. თუ წინააღმდეგ ამისა, დაწესებულება აღიარებს, რომ „ბავშვების მოკეთე“ შედარებით ბევრით დაბლა სდგას როგორც კითხვის, ისე წერის მასალის სიმდიდრით, ღირსებით, ელემენტალურის იდეალების რაოდენობით,—მეხანიკურად არის შედგენილი და მისი მიღება სკოლებში ბევრად შეავიწროვებს ქართულს ენასაც, ბავშვების განვითარებასაც და ხალხის განათლებას უკან დასწევს, მაშინ მან დროებით შეაჩეროს გამოცემა თავისი წიგნისა, ვიდრე რომელიმე განვითარებული და მცოდნე პედაგოგის დახმარებით და ხელმძღვანელობით გაამდიდრებდეს და გააუკეთესოებდეს მას იმდენად, რომ ნახევარ ნაბიჯით მაინც წინ გადაადგმევინოს ფეხი ქართულს ენის სწავლებასა.

ამითი დაიხსნის იგი საყვედურისაგან თავის თავსაც, თავისი მფარველის „კვალის“ რედაქციასაც და საზოგადო საქმესაც თავიდგან ააცილებს დიდს ზიანსა.

ქართულის ენის ბედი რომ ნორმალურს მდგომარეობაში იყოს, ჩვენ ყურსაც არ გავიბერტყავდით, კრინტსაც არ დავსძრავდით, რადგანაც მაშინ წიგნს თავის-თავად ეწეოდა ის ბედი, რისაც ღირსია იგი.—

იაკობ გოგებაშვილი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 მაისი

**კონსტანტინეპოლი.** შუადღის შემდეგ შეიკრიბნენ ელჩები და მერე მესამე კრება მოხდა ზავის შესახებ პარაკლელად. ზეგ პირველ კრება მოხდება სამხედრო აგენტებისა და შეუდგება საზღვრების შესწორებას.

**პარიჟი.** ოპოზიციის დეპუტატებმა გადასწყვიტეს ითხოვონ პარლამენტის კრების განგრძობა 14 ივლისის შემდეგ.

**საიგონი.** ბანგკოკში ხოლერა გაჩნდა.

**ბუდაპეშტი.** სულის წმიდის მოფენის პირველ დღეს ნადუდვარსა და ალპარაში უწესოება მოხდა. ხალხის ბრბომ ჟანდარმებს ქვები დაუშინა და იმუქრებოდა სახელმწიფო დაწესებულებათა აკლებას. ჟანდარმებმა ხალხს თოფები დაუშინეს. ნადუდვარში მოკლულ იქმნა 1 მუშა, 6 კაცი მძიმედ არის დაჭრილი და რამდენიმე—სუბუქად; ალპარაში მოკლულ იქმნა ერთი ქალი და დაჭრილია რამდენიმე კაცი. ორსავე ქალაქებში ჯარი დაიბარეს. წესიერება კვლავ დამყარდა.

29 მაისი.

**პეტერბურგი.** 29 მაისს, დილის 11 საათზე, ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს მშვიდობიანად ეყოლა ქალიშვილი, რომელიც წმ. ლოცვის დროს დარქმეულ იქმნა ტატიანად.

მოსკოვში გარდაიცვალა ხერსონის გუბერნატორი ვესელკინი.

**კონსტანტინეპოლი.** ელჩების მოლაპარაკება ტევფიკ ფაშასთან ზომიერად მიდის და ყველასაგან დაფარულია.

**კონსტანტინეპოლი.** 28 მაისს, ინგლისის, რუსეთის და იტალიის საელჩოთა მდივნები თესალიაში გაემგზავრნენ საქმის ვითარების შესასწავლად. ხვალ მოხდება მეოთხე მოლაპარაკება ზავის ჩამოგდების შესახებ. ექსპერტები შეუდგნენ სამხედრო კონტრიბუციის და კაპიტულიაციების საგნების შესახებ წინდაწინვე შესწავლას.

**სოფია.** კაპიტანი ბოიჩევი უარსა ჰყოფს თავისს საყვარლის მოკვლას, რომელიც იმასა ჰბრალდება. პოლიციის კომისარი ნოველიჩი და მკვლელობაში მონაწილე ჟანდარმი გამოტყდნენ, რომ იმათ ხლოროფორმის შეწეობით დააძინეს სიმონ და შემდეგ მოჰკლეს. მკვდარი წყალში გადაუგდიათ.

**კონსტანტინეპოლი.** ის ხმა, ვითომც ჯედში რამდენიმე კაცი შავი ჭირით გახდა ავადაო მართალდეა. მიწერილობაა 10 დღის კარანტინი დააწესდეს. ჯედში ცალკე სასანიტარო კომისია იგზავნება.

# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ დამატებითი არჩევანები ქალაქის ხმოსანთა დანიშნულია კვირას, 1 ივნისს 1897 წ., ტფილისის საბრანიის საზაფხულო შენობაში, მიხეილის ქუჩაზე, თაიროვის ბაღში. კენჭს უყრიან ყველა იმათ, ვინც 18 მაისამდე განაცხადეს სურვილი, და არჩეულ არ იქმნენ, აგრეთვე იმათ, ვინც 1 ივნისამდე განაცხადებს სურვილს.

კრება დაიწყობა დილის 8 საათზედ.

(3—6.—3)

## „მუხამბალი“

ალებ-მიცემის მაღაზიაში იყიდება ძლიერ იაფად სამარის გუბერნიიდგან მიღებული ხელით ნაქსოვი **ჩალის ქუდები და კალათები.**

აქვე იყიდება **საუკეთესო ყანწული, ჩაი გისოცკისა და გოცასა,** გამოწერილი მოსკოვიდგან,—და აგრეთვე ყოველგვარი სანოვაგე, სანელი, ხილეული, კონსერვები, ჩაი-შაქარი, არყები და ღვინოები—ადგილობრივი და საზღვარ გარეთისა, პაპიროსი და თამბაქო და სხვა საყოველ-დღეო საჭირო საგნები.

ადრესი: კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ-დ კ. ი. მუხრან-ბატონიშვილისა, № 6/1.

რადგან 16 მაისს ამ წლისა დანიშნული

**საზოგადო წლიური კრება**

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი, თანახმად საზოგადოების წესდების 15 მუხლისა, ხელმეორედ დანიშნულ იქმნა 1 თიბათვისათვის, კვირას, საღამოს 7 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1896 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ გასავლისა 1897 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—3)

## ი. გოკიელოვის შვილების

## სავაჭრო

ქუთაისში

გადატანილია იმავე მიხეილის ქუჩაზედ, საკუთარს მამულში, „ოკრუჟნოი სუდის“ პირდაპირ, სადაც ვთხოვთ მიჰმართონ მსურველთ თვისის მოთხოვნილებით. (10—108—4)

Дозволено цензурою, Тифлисъ 29 го Мая 1897 г. სტამბა ქ. მარძიისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.